

საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 05/1
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამსახურის სამსახური და მინისტრის პირდაპირი სამსახური
"16" იანვარი 2010 წ.
№ 200-230.000.35.191.05.92

ქვანი, თავისუფლების № 65

ინდექსი: 1900

№ 10

vani@inbox.ge

ტელ: 2-18-18

29 მარტი 2010 წელი

დადგენილება

„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღებისა და მისი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილი იქნას ცვლილებები ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებაში „ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღებისა და მისი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნას ქონების გადასახადი.
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებია:
 1. საქართველოს საწარმოსთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა) დაუმონტაჟებული მოწყობილობები,

დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები.

2. უცხოური საწარმოსთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქონება (მათ შორის, იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება).
3. ორგანიზაციისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის.
4. ფიზიკური პირისთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში (გარდა ღიზინგით გაცემულისა) არსებული ან ღიზინგით აღებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), დაუმთავრებელი მშენებლობა ან/და იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებული მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები.
5. საქართველოს ან უცხოური საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის ან/და ფიზიკური პირისთვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:
 - ა) საკუთრებაში არსებული მიწა;
 - ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლით გათვალისწინებული პირები არიან ქონების გადასახადის გადამხდელები.
3. ამ დადგენილების მეორე მუხლით გათვალისწინებულ ქონებაზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვროს:
 1. საწარმოსთვის ორგანიზაციისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულებისმიხედვით) 0,5 პროცენტის ოდენობით.
 2. ფიზიკური პირისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ

3
საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- ა). 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,05 პროცენტით.
- ბ). 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1 პროცენტით.

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს:

ა). სახნავი და მრავალწლიანი ხარგავებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ხარისხის მიხედვით:

კარგი - 30 ლარით

მწირი - 15 ლარით

ბ). ბუნებრივი ხათიბებისა და ხაძოვრებისათვის:

სათიბი - 4 ლარით

ხაძოვარი - 2 ლარით

4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ტერიტორიული კოეფიციენტი განისაზღვროს:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე - 0,37 ლარით

ბ) სოფლის ტერიტორიაზე - 0,185 ლარით

5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქონების გადასახადი განისაზღვროს:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე - 0,0888 ლარით

ბ) სოფლის ტერიტორიაზე - 0,0444 ლარით

2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ოჩხიკიძემ.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

დავით პაიკიძე

ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



Հիմնական 3 գրքեր

Ջ